

# დღეა



უბუფი, ტურფა მშენებელი,  
იღბინე, ქართველი მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გახსარეო!





# დილა

№ 10

„აყვავილი, ტურნა ქვეყანაზე,  
ილხინე, ქართველი მზარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
საწმინდო გააბარეო“.

საქართველოს ალკა ცენტრალური  
კომიტეტის შოველთვიური ორგანო  
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

ოქტომბერი  
1949

ДИЛА  
ежемесячный детский журнал  
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

ილია სიხარულიძე

## წელს სკოლაში მიმბაბრეს

წელს სკოლაში მიმბაბრეს,  
ჩემი ნატვრა ასრულდა!..  
მე სკოლაში სიარული  
განა დღემდე არ მსურდა?!

მსურდა, მაგრამ არ ვიუბი  
წლებანდლამდე შვიდი წლის...  
ჩემს დაიკოს ჯერ სკოლაში  
არ იღებენ და ეს სწეინს.

მერე რა ვქნა?! მე რა ვუეო,  
თუ არ არის ის დიდი!  
დაიცადოს, გაიწრდებ,ა  
განა მე არ ვიცდიდი?!

წელს სკოლაში მიმბაბრეს,  
განსდი ზირველკლასელი,  
დიდ ჟურნალში ჩაიწერა  
ჩემი გვარი, სანსელი!



მარგან ლეონიძე

ნახატები გრ. ჩიჩინაშვილისა

4032

# მეშახტეთა ერთ პატარა ქაღაჭში

ცხოვრობდა იმერეთის პატარა ქალაქში, სწავლობდა მეოთხე კლასში, ჰყავდა დედა, მამა, უმცროსი ძმა ნიკალა და ბევრი ამხანაგი. მეშახტეთა პატარა ქალაქში იმერულ ბიჭს დათუნა შაორშაქეს ყველა იცნობდა.

— გამარჯვება დათუნი! — ილიმებოდნენ სტალინის სახელობის შახტის მუშებო.

— ვისია? — იკითხავდა ვინმე.

— ჩვენი გიორგის ბიჭია! — უპასუხებდნენ და ბიჭუნას სიამოვნებისაგან ყურები აუწითლდებოდა.

ერთხელ დათუნა კვირა დღეს მეზობელ სოფელში მილიონებდა. ბავშვებმა რიკტაფელას თამაშს თავი ანებეს და ლობებებს აეყუდნენ:

— ამ ბიჭს დათუნა ჰქვია, გიორგი მეშახტის შვილია... იმ კვირას მდინარეში ეჭვსი კალმახი დაიჭირა, ერთი აღარ მოეწონა, — ეპატარავა და ისევე წყალში გაუშვა. მამამისი საუკეთესო მეშახტეა, ლამაზი ავტომობილი იყიდა!

მხოლოდ, ერთმა ბიჭმა შენიშნა: „ — კარგი ბიჭია, კარგად სწავლობს, მაგ-

რამ რათ დიდგულობს, მამაა შრომის გმირი, შვილი ხომ არა!

ასე მიდიოდნენ დღეები; მაშინ ომი იყო და გერმანულ ფაშისტებს კავკასიის მთებში ებრძოდნენ ჩვენი მეომრები.

•••

ეს ამბავი აგვისტოს დამლევს მოხდა. დილით დათუნამ გაიღვიძა თუ არა ფანჯარაში გაიხედა. გზის იქით მხარეს, მწვანე მოღზე, ვილაყები კარავს სტიმედნენ და იყო ერთი ფუსფუსი.

— ალბათ წითელარმიელებია, — გაიფიქრა დათუნამ, გადაიცვა ხალათი, ჩაპრა ფეხი წაღებში, ხელი დაავლო ანკესის ჯოხს და ეზოში გავიდა.

ბიჭოს! წითელარმიელები არსად ჩანან! კარავიდან მალაღი ქალი გამოვიდა, ხელი მოიჩრდილა და გასძახა:

— მიკოლა, მიკოლა!

გაუკვირდა დათუნას: საიდან გაჩნდა ეს უცხო ქალიო, ვერ გაიგო რას ნიშნავდა „მიკოლა“, ოღონდ იქვე ტყისპირას თვალი მოჰკრა მკერდამდე ყვავილებში

ჩამდგარ უცხო ბიჭს; ბიჭი გატრუნული იდგა ყვავილებში და გაკვირვებით შესცქეროდა შავი ლელვის წითლად გახლეჩილ ნაყოფს.

ბიჭუნა დედის ძახილს არ ეპასუხებოდა; იცოდა, დაასაჭმებდნენ. აქ კი, ამ ლამაზ ქვეყანაში ყველაფერი თვალისმომჭრელი და საოცარი იყო: ლელვის შეკმა ვერ გაბედა, მოწყვიტა. ატრიალა, კბილით გასწვჯა და ჯიბეში უკრა თავი. სამაგიეროდ სამყურაში ჩამალული მყვალნი ნახა, ფრთხილად ასწია მყვლის ტოტი, ნაყოფით ხელისგული აივსო და შეჭამა.

— დათუნა! რას უყურებ? — შესძახა ეზოში გამოსულმა დედამ, — მოდი, საქათმის კარი გამოიღე...

ქათმები კონინდარზე გამოიშალნენ. აივანზე ფეხშიშველი ნიკალა გამოტანტალდა, წასასვლელად გამზადებული მძაღვით რომ დაინახა, მაშინდა გაახსენდა, თვითონაც უნდა გაკყოლოდა და ფაცხაფუცხით შებრუნდა ფეხსაცმელების ჩასაცმელად.

— დედა, ვინ არიან ესენი, ჩვენი ეზოს წინ რას აკეთებენ? — ჰკითხა დათუნამ.

— ეგენი უკრაინელები არიან, შვილო, დონბასიდან ჩამოვიდნენ. მეშახტის ოჯახია.

— ჩვენს პირდაპირ უნდა იცხოვრონ?

— ჰო, მეზობლები იქნებიან. ცოტა ხანს კარავში იცხოვრებენ, მერე ხალხი წაებმარება და სახლს დაიღვამენ.

— მერე, ჩვენი ხბო სად უნდა ვაბალახოთ?

— რა დროს ხბოა, შვილო! — თქვა ნაღვლიანად დედამ, — ხალხს სახლი დაუწევს, ყველაფერი წაართვეს...

დათუნას აღარაფერი უკითხავს, იგრძნო რომ არ უნდა ეთქვა ასე, ნიკალას აღარ დაუცადა, ჰიშვარი გააღო და შარავნაზე გავიდა.



დათუნა წინ მიაბიჯებდა, მხარზე გრძელი ანკესი ჰქონდა გადებული, უკან

სირბილით მიჰყვებოდა ცხრა წლის ნიკალა; ანკესის გარდა, თეთრი პატარა კარდალა და ჰიაყელებით გავსებული ასანთის კოლოფი მიჰქონდა.

ნიკალას დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდა უფროსი ძმისა, ამიტომ იყო ასე დატვირთული და უარს ვერც გაბედავდა.

— დათუნა, — თქვა ნიკალამ ჩურჩულვით, როცა ათიოდე ნაბიჯი გაიარეს, — შეხედე, უცხო ბიჭი...

— ვიცი! — თქვა დათუნამ და ძმებმა კარდალას რაკარუკით ჩაუარეს გზის პირას ჩამომჯდარ უცხო ბიჭს.

უცხო ბიჭუნა დათუნაზე ერთი წლით უფროსი იქნებოდა. ჩალისფერი თმა ჰქონდა, პურის ნატებს მადიანად მიირთმევდა და თვალს არ აცილებდა სათევზაოდ მიმავალ ბიჭებს.

ბავშვებმა დაღმართი ჩაიარეს და ჰალისაკენ ჩაუხეიეს. — ეჰ, წავიდნენ ბიჭები!... და პატარა დონბასელი ბიჭი ჩაფიქრდა. მოაგონდა, თუ როგორ დადიოდა ხოლმე სათევზაოდ დონზე.

ბიჭები თვალს მიეფარნენ. დათუნას უცბათ ჰიაყელებით სავსე ასანთის კოლოფი გაახსენდა.

— ნიკალა! — თქვა დათუნამ და ჯიბეზე იტაცა ხელი.

— რა მოხდა?!

— ასანთის კოლოფი დავკარგე; შიგქიები მყავდა.

კოლოფი ნიკალას უბეში ჰქონდა შენახული, მაგრამ დათუნამ დაიჩემა: მეც მქონდა მეორე კოლოფიო...

ბიჭები უკან დაბრუნდნენ. ნიკალა გაფაცოცებით ადევნებდა თვალს გზას. ამოვიდნენ აღმართზე და განსაკუთრებით ის ადგილი დაათვალიერეს, სადაც უცხო ბიჭი იჯდა. უცხო ბიჭი ყვავილებს ჰკრეფდა სათიბში. მეთევზეები რომ დაინახა სათიბიდან შარავნაზე გადმოვიდა. ბიჭებმა კოლოფი ვერ იპოვნეს, ერთმანეთი კი გაიცივნეს.

— წამოდი თუ გინდა! — უთხრა დათუნამ უცხო ბიჭს, ანკესზე მიუთითა და ხელი ძირს, ჰალისაკენ გაიშვირა.



ყუმბალავეს, შესცივდათ, ამოვიდნენ და ანკეები წყალში ჩაჰკიდეს.

ნიკალამ ერთი მურწა ამოათრია და კეხნით გააბრუა დათუნა. მიკოლა ილიმებოდა და წუხდა, რომ მასაც არ ჰქონდა ანკესი.

შუე გადიწვერა. ბიჭებს სახლში წასვლა არ აგონდებოდათ. მიკოლამ ბავშვებს თავისი თავგადასავალი უამბო. მამამისი შახტებში იმუშავენს, თვითონაც აქ ისწავლის.

სალამომდე თორმეტი კალმახი დაიჭირეს, სამად გაჰყვეს, ერთი ზედმეტი ნაფოტა მიკოლას არგუნეს. თევზები ძეწნის მოწითალო წყებლებზე ააცვეს და სახლისაკენ გამოსწიეს.

შშის ჩასვლისას მეგობრებმა შახტის კანტორას მიადწიეს... იქ გაცხარებული საუბარი იყო. უფროსი ინჟინერი ილიმებოდა, ეტყობოდა რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყო:

— უკრაინელმა მეშახტემ ოცდაათი ტონა ქვანახშირი მოანგრია ერთ ცვლაში!... — ამბობდა ახალგაზრდა მუშა.

— გაუბოთა, პირველ დღესვე გაჯობათ! — გაიძახოდა მოხუცი.

ინჟინერმა თავმოყრილ ხალხს უკრაინელი მეშახტე გააცნო. დათუნას მამამ დაკოყრილი ხელი მაგრად ჩამოართვა უკრაინელს და უთხრა:

— მომილოცავს, მეგობარო, გამარჯვება მომილოცავს!

უკრაინელმა ბავშვებს მოჰკრა თვალი და დაიძახა:

— მიკოლა, აქ მოდი!

დათუნა განზე გადაგა. ინჟინერმა მიკოლას აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა. დათუნას მამაც მიეფერა მიკოლას.

მიკოლამ ძლივს დააღწია თავი ამდენ მოფერებას. შარაზე რომ გავიდა, ბევრი ეძება დათუნა და ნიკალა მაგრამ ისინი აღარ ჩანდნენ.



ნიკალამ კარგად იცის თავისი მოვალეობა. აი, ახლაც წყაროზე ჩაირბინა და მამისათვის დიდი თუნგით წყალი მოარბენინა. მამამ დიდხანს იცის პირის ბანა;

— მამაჩემი მეშახტეა, შრომის გმირია! თქვა დათუნამ, როდესაც კალაში გაუხვიეს, — შენ რა გქვია?

— მიკოლა, მამაჩემიც მეშახტეა! — ამოიოხრა ბიჭუნამ, — ოღონდ შახტები დაინგრა...

— როგორ თუ დაინგრა?! ვინ დაანგრა?

— გერმანელმა ფაშისტებმა... თუმცა არა, თვითონ მამაჩემმა დაანგრა, როცა ღონბასში მტრები შემოდიოდნენ... სხვა გზა არ იყო, აბა მტრებს ხომ არ დავუტოვებდით ჩვენს შახტებს, ასე იყო საჭირო...

ბიჭებმა გაიარეს პატარა ლელეზე გადებული ბოიერი. წყალი დალიეს, მუხლისთავეები გაიწმინდეს და გზა განაგრძეს.

— ესეც მდინარე! — მასპინძელივით თქვა დათუნამ.

მდინარე არ იყო ღრმა, — ჩქარი იყო და მხოლოდ ალაგ-ალაგ იკეთებდა მორევს. ბავშვებმა ტანსაცმელი გაიხადეს და იქვე, ბებერ ძეწნაზე გადაჰკიდეს, იჭ-

ჯაგრისით ტანსაცმელს გაიწმენდს გაწკრივდება და მაგიდას ისე მიუჯდება.

სადილმა საუბარში ჩაიარა, ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ, განსაკუთრებით კი მამა.

— თურმე ეს ჩვენი მეზობელი გამოჩენილი დონბასელი მწერეველი — ბორის კრივენკო ყოფილა. როცა გამომიცხადეს: შენს ბრიგადაში ჩავრიცხეთო, გამეხარდა, უკრაინელები სინდისიერი, გამრჯე ხალხია, მაგრამ, თუ ასეთი სასწაული დატრიალდებოდა არ მეგონა. აწი ველარავინ წამართმევს გარდამავალ დროშას! — ამბობდა ალტაცებული მამა.

— შეილიც კარგი ბიჭია, — ჩაურთო ნიკალამ. — თურმე, ნიკალა და მიკოლა ერთი სახელია, ჩემი სეხნია ყოფილა... დღეს ბევრი ვითევზავეთ.

— ოჰო, თქვენ დამეგობრებაც მოგისწრიათ, — გაილიმა მამამ და გულში კმაყოფილება იგრძნო, მერე დათუნას მიუბრუნდა:

— თითქმის შენი ტოლი იქნება, არა, დათუნა?! როგორ შეეწყვეთ? აბა, თქვენ იცით, დაჩაგრული ბავშვია, ბევრი უბე-

დურება უნახავს, გაართეთ, მამამისმა შიამბო, ერთხელ, თურმე დაბომბვის დროს ყუმბარამ მიწა მიაყარა და ჩამარხა... ბევრზე მიუსწრო თურმე მამამისმა, თორემ დაილუპებოდა ბავშვი...

მეორე დღეს ბიჭები ეზოში რომ გამოვიდნენ, მიკოლამ ჰკითხა:

— გუშინ სად დამეკარგეთ, ბევრი გეძებეთ...

დათუნამ არაფერი უპასუხა, სამზარეულოში შევიდა და ანკისი გამოუტანა:

— აჰა, აიღე მიკოლა, შენი იყოს. მე სხვას გავაკეთებ...

— თუ გინდა ჩემი ანკისიც აიღე, — ჩაურთო ნიკალამ.

ბიჭები ლობესთან შეჩერდნენ. ერთმანეთს შეხედეს. სუფთა, დამშვიდებული და ნათელი თვალები ჰქონდა სამივეს. მზე მთებს იქით ამოდიოდა და ბავშვებმა ფართო შარავნაზე დაინახეს საუბრით და სიცილით შახტებისაკენ მიმავალი ორი მამა — ბორის კრივენკო და გიორგი შაორშაძე.



## ლესია უკრაინკა

1871-1913

უკრაინის კლასიკოსი, პოეტი ქალი ლარისა კოსაჩი მწერლობაში ცნობილია ლესია უკრაინკას სახელით.

მან მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურს შეაღწია. თავისი დიადი წინამორბედის ტარას შევჩენკოს მაგვარად, ლესია უკრაინკას მტკიცედ სწამდა სამშობლოს ბედნიერი მომავალი.

ბრწყინვალე პოეტური ნიჭით ასახა მან თავისი ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნება, უკრაინელი ხალხის გმირული სული და გულმხურვალედ იზიარებდა სამშობლოს ჭირვარამს. იმ დროს რუსეთში რევოლუციური მოძრაობა ძლიერდებოდა. პოეტი ქალი სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს. მხურვალედ თანაუგრძნობდა მუშათა მოძრაობას და ხედავდა, რომ რევოლუციურ ბრძოლაში მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეიძლებოდა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება.

თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში პოეტმა ქალმა ხალხთა ბედნიერი მომავლის მტკიცე რწმენა გამოსთქვა და ამ იმედით ემსახურებოდა ის ჩვენს ქვეყანას.

ლესია უკრაინკა ბავშვობიდანვე ავადმყოფობდა, მაგრამ ავადმყოფობას არ უშინდებოდა და სიხარულს მხოლოდ შემოქმედებითს მუშაობაში ხედავდა.

1913 წელს, 42 წლის პოეტი ქალი გარდაიცვალა საქართველოში, — სურამში, სადაც სამკურნალოდ იყო ჩამოსული. მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა უკრაინის დედაქალაქ კიევში.

ლესია უკრაინკამ დაგვიტოვა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. რედაქცია ბეჭდავს ლესია უკრაინკას საბავშვო ლექსებს, სადაც ზამთრის სახით დახატულია თვითმპყრობელობის სიმკაცრე, ხოლო გაზაფხულის მთლიანობაში კი პოეტი ხედავს გამარჯვების იმედს.

## ბავშვთა ფერხუღში

ლესია უკრაინკა

თარგმანი ილია მოსაშვილისა

### გაფრენილა ზაფხული...

გაფრენილა ზაფხული,  
ცვივა თეთრი ფთილგები;  
ფანჯარასთან ბავშვები  
სხედან მოწყენილები.  
სწუხან, გულში ამბობენ:  
„ნეტავ ასე რათ არი?  
ქვეყნად ვინ მოიგონა  
სიცივე და ზამთარი?“

ავერ ველი დათოვლა,  
ცივი ქარი ზუზუნებს,  
იჯექ შინ და ქვეყანას  
ფანჯრებიდან უუუურე!  
ყვავილები ზრებიან,  
გზა გახსნია უკუნეთს,—  
სჩანს წყვეული ზამთარი  
გასტანს მთელ საუკუნეს?!“

დაიცადეთ ბავშვებო,  
მალე აინაშქრება,  
ცაში სითბო ჩაღგება  
და სიცივე გაშქრება...

გაზაფხული ფერადი  
ყვავილებით შემოსავს  
განა მარტო თქვენს მინდვრებს, —  
ქვეყნის გარეშემოსაც!



### დედავ დგება

### ზამთარი...

„დედავ, დგება ზამთარი,  
თოვს, გახშირდა ავდარი...  
რაც ჩიტები არიან  
სამხრეთს მიიჩქარიან,  
რატომ სდუმან ჩიტები?“ —  
ეკითხება დედიკოს  
ბავშვი გაფაციცებით.  
მოუსვენარ ბიჭიკოს  
უაღერსებს დედილო:  
„ყველა როდი მიფრინავს,  
ჩემო ნორჩო, კეთილო,  
აგერ აქ დარჩენილა  
ჩიტუნია — ნაცარა,  
შენსავით პაწაწინა,  
შენსავით კულბაწარა.“  
„რატომ არ გაფრენილა, —  
ნეტავ რად დარჩენილა?“

„მას ყინვა არ აწუხებს,  
არც ზუზუნი ქარისა,  
ძნელი არის დათმობა,  
შვილო, მშობელ მხარისა, —  
რა გინდ შავი ღრუბლები  
წამოვიდნენ გუნდებად...  
იცის, რომ გაზაფხული  
მალე დაგვიბრუნდება!“  
„დედავ, შეხე, ჩიტუნებს  
რარიგ მოუღხენიათ,  
თითქოს დარდი არა აქვთ,  
არც ზამთარი სწყენიათ...  
შეხე იმ ერთ ჩიტუნას —  
ევილით რომ მიხტუნავს!“  
„არა, მასაც უხდება  
თვალზე ცრემლის მოდენა,  
მასაც აქვს საწუხარი,  
ქვეყნად ჩვენთვის რაც არი, —

ან წყალი სად იშოვნოს  
ერთი ნამისოდენა,  
ან გათოშილ მიწაში  
პურის ერთი მარცვალი.“  
„მაშ რას მღერის, რას დახტის?  
განა მისთვის არა სჯობს,—  
სადაც კი მოახელეებს,  
მარცვალს რომ უღარაჯოს?“

„შვილო, მხოლოდ ერთი აქვს  
ფრინველს გულის წაშალი,—  
ჭია, — მაინც ჭიკჭიკებს  
თვალსწრაფი და ფრთამაღი...  
მღერის, გულში იმედის  
ნაპერწყალი ენთება,—  
იცის, რომ გახაფხული  
მაღე გაუთენდება!“

### გ ა ი ხ ა რ ე ...

გაიხარე, ვიღრე შენი  
გახაფხულის დილას,  
არც კაეშნის რიღე მოსავს,  
არც ნალველი ჩრდილავეს.

ვიღრე ფიქრი ფრთებგაშლილი  
გიხმობს უცხო მხარეს,  
ღე, იფრინოს გვრიტმა ლალად,  
ნუ დაუხშობ კარებს.

გახსოვს? — ზღაპრად ნაამბობი —  
ის ღღე სანეტარო;  
ფრინველმა რომ ხალხს უპოვნა  
უკვდავების წყარო?

ვერ აკრთობდა მას ვერც ქარი,  
ვერც ზღვები და მთები,

მან მწვერვალნი გადალახა  
უშიშარი ფრთებით.

შენი ლალი ფიქრიც ასე  
ისწრაფვის და ჩქარობს,  
რომ მიაგნოს იმ სანატრელ  
უკვდავების წყაროს.

და თუ სევდამ შემოგხედა  
სადმე შავი თვალით,  
შენც იგივე წყარო გიხსნის  
ჯადოქარი ძალით.

ღე, ისწრაფოს ლალმა ფიქრმა  
იმ შორეულ მხარეს...  
მას სჩვევია მუდამ ფრენა,  
ნუ დაუხშობ კარებს!





მარცხნივ

მარჯვნივ

# მ ა რ უ ლ ა

კამბლა მსმენელი—  
იქით დიდი, იქით ძველი,  
სამკაბლესკენ ვახტანგის  
ქართლის შიდა საქართველო.

მხარე კოლხეთს,  
დასავლეთ სვანეთს,  
სამხრეთ სვანეთს,  
აღმოსავლეთ სვანეთს.

ქველი—მედი პოეტის,  
ან ფილოსოფოსის,  
თავისთვის დასწრებით,  
მსოფლიო სწავლის.

ქველი მოკლედ—  
სამხრეთის სვანეთს,  
კავსებელი ზედას  
და ზედა სვანეთს.

სხვა მოკლე სვეტიცხოველი,  
ფართო მოკლე სვეტიცხოველი,  
მეტი კარგი სვეტიცხოველი,  
აღმოსავლეთ სვანეთს.

მოკლედ კი ვეღარ უკლებს,  
კარგი ადგილი სვანეთს,  
და მოკლედ ადგილი სვანეთს  
სამხრეთ სვანეთს.

კარგი უნდა მოკლედ დიდი,  
მარცხნივ იქით დიდი სვეტიცხოველი...  
ქველი, წინათ უნდა სვანეთს—  
სვეტიცხოველი ადგილი.

ქველი სვეტიცხოველი—  
სამხრეთ სვანეთს,  
კამბლა მსმენელი  
იქით დიდი, იქით ძველი.



გიორგი შაბაძის  
კაპუ მარკინი

ნახატები შალვა ცხადაძისა

# ხორბაღა\*

თ ა ვ ი მ მ ც ხ ა

კომბინი

უცებ საუბარში გართული მარცვლები შეერთდნენ. მათ თავზე წასდგომოდით მზე-მოკიდებული ქაბუკი და თითქოს მათი სა-უბროთ ტკბებოდა:

— ამ ნაკვეთში თავთავი უკვე მწიფეა, კომბინი ახლა აქ შემოვიტანოთ და მკა დავიწყოთ! — გასძახა მან ვილაძას და გზა განაგრძო.

შორიდან მანქანის მძლავრი ხმა გაისმა. ამ ხმაურმა ყანას ჟრუანტელივით დაუარა. მარცვლები თავთავის მყუდრო აკვ-ნებში გაინახნენ.

— რატომ გაჩუმდით, ჩემო გიჟმაყვებო, ხომ არ შეშინდით? ეგ მანქანა თქვენი განთავისუფლებისათვის მოდის! — გაამხ-ნევა დედა-ხორბალამ შემკრთალი მარცვ-ლები. მარცვლებს გული მოეცათ და ახ-მაურდნენ. პატარა ხორბალას რალაც გაახსენდა, დაბლა გადაიხედა და ჩასძახა: — ანდერძი არ დაგავიწყდეს. მოასწარი, თორემ აგერ მანქანა უკვე აქით მოდის...

— ეჰ, ჩემო კარგებო, მე ჩემი ვალი ქვეყნისა და შეილების წინაშე უკვე მო-

ვიხადე... ახლა კი დამშვიდებული დაე-ძინებ, მაგრამ სანამ ერთმანეთს დავშორ-დებოდეთ, მინდა დაგარიგოთ: გიყვარ-დეთ, შეილებო, ერთმანეთი, ემსახურეთ კეთილ ადამიანებს, მიეცით ქვეყანას ტკბილი პური, აი ჩემი ანდერძი.

— ვფიცავ, რომ შევასრულებთ თქვენს დარიგებას საყვარელო მშობელო! — წამოიძახა პატარა ხორბალამ.

— ვფიცავთ, ვფიცავთ! — გაისმოდა მარცვლების ძახილი.

— კარგი, ყური დამიგდეთ და ერთი თხოვნაც შემისრულებთ, — გააჩუმა მარც-ვლები დედა-ხორბალამ, — ბელელში რომ მიხვალთ, ობობას ქსელში ტყვედ-მოხვედრილ ბიძაჩემს მოკითხვა გადაე-ცით. უამბეთ ჩემი თავგადასავალი, მშვი-დობით!..

დედა-ხორბალას სუსტი ხმა კომბინის გრილმა დაჰფარა.

კომბინის საჭესთან მხიარული, სახე-გაბრწყინებული ახალგაზრდა იჯდა და თავის ხმას მანქანის ხმაურს უერთებდა. ისმოდა სამკალში მოსული ბავშვების სი-ცილ-ვისკისი და ტკბილი სიმღერა.

\* დასასრული. იხილეთ თქვენ. „დილა“ № 7, 8 და 9.

— აქეთ... აქეთ! — შრიალებდნენ თავ-  
თავები და გახარებულნი ერთმანეთს ეხ-  
ლებოდნენ, მოლოდინით ღელავდნენ.

— ნეტავ ჩვენამდე როდის მოაღ-  
წევს? — მოისმა მარცვლის წრიპინა ხმა  
მეზობელ თავთავიდან. ხორბალამ იმ თავ-  
თავისაკენ გაიხედა და ღიმილით გასძახა:

— ჰეი, წრიპინავ, ცოტაც მოითმინე,  
ცოტაც!

— მე წრიპინა არა მქვია, საიდან მოი-  
გონე ეგ სახელი? — გამოეხმაურა წრი-  
პინა ხმა.

— მაშ რა გქვია?

— ნამცეცა მქვია, დედაჩემსაც ნამცეცა  
ერქვა! — დარცხვინით უპასუხა მეზო-  
ბელმა.

— იმ ნამცეცას შვილი ხარ, თავგმა  
რომ კინალამ ვადასანსლა? — შეეკითხა  
ხორბალმა.

— დიხ. ამ თავთავში ყველანი ნამცე-  
ცას შვილები ვართ, მაგრამ თქვენ საი-  
დან იცით?

— ჩვენ ხორბალს შვილები ვართ, წე-  
ლან დედამ ყველაფერი გვიაშბო.

— მართლა? — აწრიპინდა ნამცეცა, —  
რა კარგია, ჩვენც დავმეგობრდეთ!

— დავმეგობრდეთ, დავმეგობრდეთ! —  
ახმაურდნენ მარცვლები.

კომბაინის ხმა სულ ახლოს გაისმა. მან-  
ქანა მოგრიალეზდა. მომიკლ ყანას ნთქაუ-  
და, ბზეს ცალკე ისროდა, ხორბალს ახა-  
რისხებდა და წინ მიიწვიდა.

უცებ ხორბალმა ისეთ ორომტრიალში  
და გამაყრუებელ ხმაურში მოხედა, რომ  
დიდხანს სული ვერ მოითქვა. სადღაც  
სიბნელეში სწრაფად მიექანებოდნენ შე-  
შინებული თავთავები, ერთმანეთს ეხლე-  
ბოდნენ, მიიჩქაროდნენ!

### თ ა ვ ი მ ა ა თ ე

## ისევ ბაღეზი

ხორბალამ საოცარ სიზმრებს მისცა  
თავი. კარგახანი იყო ასე. რომ გამოფ-  
ხიზლდა, მზემოკიდებული ჭაბუკი დაინა-  
ხა, რომელიც წყნარად ამობოზდა:

— აი, ეს პირველი ხარისხის ხორბალია,  
ამას გამოფენაზე გავგზავნი. მე მგონი



ყველას ვაჯობებთ. თესლსაც აქედან ავი-  
ლებთ... ეს კი წისქვილში წავა...

ხორბალს გული სიამაყით აევსო, თვა-  
ლი გააყოლა მიმავალ ჭაბუკს და მერე  
ირგვლივ მიმოიხედა.

— სწორედ იმ ბელელში მოვხვედრილ-  
ვართ, დედამ რომ მიაშბო, აგერ ის კუთ-  
ხეც, მაგრამ აბლაბუდა სად არის? —  
ხორბალამ საწყობის ყველა კუთხე დაა-  
თვალიერა, მაგრამ ობობას ქსელის ნა-  
სახსაც კი ვერ მოჰკრა თვალი.

„ნეტავ რა იქნა, ალბათ დაიღუპა საწყ-  
ალი“ გაიფიქრა მან და მიძინებულ  
მარცვლებს მუჯღუფუნით გამოლოძიებდა  
დაუწყო.

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! უკვე ბე-  
ლელში ვართ! — გაისმა მარცვლების ძახი-  
ლი. ყველა თავის მახლობელს დაეძებდა,  
ყველა ერთმანეთს გასძახოდა, ესაღმებო-  
და და ერთად მოხვედრას ულოცავდა.  
ხორბალამ ნამცეცას, ცელქოსა და ტიტო-  
ნას მოჰკრა თვალი. მან ნამცეცას გაული-  
მა და მაშინვე ახარა:

— ჩვენ გამოფენაზე წავალთ! ნამცეცავ,  
შენც...

— უკაცრავად, მე ნამცეცა აღარა  
მქვია — წამოიძახა წყენით ნამცეცამ.

— ვინ ვითხრა? — შეეკითხა ხორბალმა.

— კომბაინმა გამომიცივალა სახელი! —  
გაიცინა ნამცეცამ.



— მე მაინც ნამცეკას დაგიძახებ, ჩემო კარგო. არც ისეთი ვოლიათი ხარ, რომ სახელი გამოგიცვალოთ! — ხარხარებდა ხორბალა.

— რა იცით, რომ გამოფენაზე წავალთ? — ეკითხებოდნენ გახარებული მარცვლები ხორბალას.

— ვიცი, მე ყველაზე ადრე გამელვობა და ყური მოვკარი!

— რა კარგია რომ თქვენთან მოვხვდი, რამდენ რამეს ვნახავ! — ამბობდა გახარებული ნამცეკა.

— ისინი კი, — გააგრძელა ხორბალამ და მეორე ბელელს გადახედა, — აქ დარჩებიან და მერე წისქვილში წავლენ. მეორე ბელელიდან ვილაცის მხიარული ხმა გაისმა:

— რა კარგია წისქვილში, ჩვენგან ფუნთუშა პურებს გამოაცხოზენ და ბავშვებს გაუმასპინძლდებიან!

მე წისქვილის ხმაურს გამოფენაზე ყოფნა მიჩვენია, ჩვენ საქართველოს პური უნდა ვასახელოთ! — თქვა ხორბალამ და ირგვლივ ამაყად მიმოიხედა.

საწყობში კაბუკი შემოვიდა. უკან პატარა, წითელყელსახვევიანი ბიჭი მოსდევდა. მარცვლები გაჩუმდნენ.

— აი, ბიჭიკო, გამოფენაზე ამ ხორბალს გავგზავნი. ნახე, რა მსხვილი მარცვლებია!

ბიჭიკო საწყობში დახტოდა, მხიარულად ტიტინებდა და ყველაფერს ყურად-

ღებით ათვალევებდა. იგი უცებ იატაკს დააშტერდა, დაიხარა და რალაც აიღო.

— ძია ნიკა, აი, პურის მარცვლი გადმოვარდნილა ძირს!

კაბუკმა მოიხედა და აღერსით უთხრა:

— ყოჩაღ, არც ერთი მარცვლი არ უნდა დავკარგოთ. ეს ხეავი მარცვლებისაგან შესდგება!

— რომელ ბელელში ჩაეავლო? — შეეკითხა ბიჭუნა.

— ეგ შენ გადაწყვიტე, ჩემო კარგო! —

უთხრა კაბუკმა და საწყობიდან გავიდა.

— რა მსხვილია! — წამოიძახა ბიჭუნამ. მარცვლი პირველ ბელელში ჩაეავლო და კაბუკს აედევნა.

თ ა ვ ი მ ი თ ი ა ო მ მ მ მ

მოულოდნელი შეხვედრა

სულგანაბულმა მარცვლებმა ყოველივე გაიგონეს. ისინი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ ახალი მეზობლის შემატებას.

მარცვლი ხორბალს გვერდით დაეცა. ვილაცამ უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა, უცნობი ხმას არ იღებდა, გაბრუებული იწვა გულელაშმა.

— თითქოს სადღაც მინახავს, ნეტავ ვინ არის? — გაიფიქრა ხორბალამ და უცნობს შეეკითხა:

— უკაცრავად, თუ გვციძავთ, ხმა ამოიღეთ და გვითხარით, ვინა ბრძანდებით?

უცნობი კვლავ სდუმდა. ისმოდა მისი ჩუმი, მისუსტებული სუნთქვა. იგი გამხდარი, მაგრამ უზარმაზარი ტანისა იყო. ხორბალა დააკვირდა და თითქოს რალაც გაახსენდა, გაცივებით წამოიძახა:

— ეტყობა მოხუცია, ჩვენ არა გვგავს, რა მაგარი, ხორკლიანი კანი აქვს.

მარცვლები დააკვირდნენ. უცნობი შეინძრა, მის ფერდაკარგულ კანს ხორბლის ფერი დაუბრუნდა.

— სადა ვარ? — იკითხა მან სუსტი ხმით და ხორბალს ცნობისმოყვარე თვალეს დააშტერდა.

— ჩვენთან ბელელში! — უპასუხა გახარებულმა ხორბალამ და მორიდებით ჰკითხა:

— გვითხარით, ვინ ბრძანდებით, ან ასე რამ დაგასუსტათ?

— ეჰ, — ამოიხრა უცნობმა, — დიდი ტანჯვა გამოვიარე: აბლაბუდას ქსელში ტყვედ ვიყავი...

— ნუთუ ეს თქვენა ხართ, ხორბალას ბიძა?!

— დიას, დიას, — გამოტოცხლდა მოხუცი მარცვალი, — მაგრამ ვინა ხარ, შვილო საიდან იცი ჩემი ამბავი?

— ხორბალას შვილი ვარ, მეც ხორბალა მქვია!

— შვილო... ძლივს, ძლივს მოვესწარი თქვენს დანახვას, როგორ დამსგავსებინხართ ხორბალას! — წამოიძახა ძველმა მარცვალმა და ხორბალას ძლიერ შეკრდს მიეკრა.

— სხვები, სხვებიც გამაცანი! — ამბობდა მოხუცი მარცვალი და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— აი, ეს ცელქია, ეს ტიტინა! — აცნობდა სათითაოდ ხორბალა, — ეს კი ნამცეცაა!

— ვიცნობდი, ნამცეცასაც ვიცნობდი, ხელი მოგმართოთ, შვილო, კარგები ხართ. ასახელეთ ჩვენი გვარი, ასახელეთ...

ლოცავდა ძველი მარცვალი ახალგაზრდებს.

— აბლაბუდაში რომ; ტყვედ იყავით იატაკზე როგორღა მოხვდით, ვინ გაგანთავისუფლათ? — შეეკითხა ხორბალა.

— შეილებო, შემთხვევამ გადამარჩინა მარტოობაში დაკარგვას, — დაიწყო მოხუცმა, — გუშინ საწყობი დაასუფთავეს, კედლები ცოცხით ჩამოგავეს. ჩემი საპატროლო დანგრეა, მე ძირს ჩამოვვარდი და... ეჰ, გვერდები მტკივა გვერდები.

— ნუ სწუხართ, — აფუსფუსდნენ მარცვლები, — ჩვენ მოგივლით, გაათბობთ, მზის სხივებს პირველად თქვენ დაგანახებთ.

— გაიხარეთ, შვილებო, გაიხარეთ. ჰო და, — განაგრძო მოხუცმა, — გრძობა დავკარგე, მაგრამ ბურანში მაინც რალაც ხმაური მესმოდა. მერე ვილაცამ ხელში ამიყვანა და გადამარჩინა.



— წითელყელსახვევიანი ბიჭი იყო, ლამაზი ბიჭი! — წამოიძახეს მარცვლებმა.

— დაილოცოს, დაილოცოს, ტკბილად შეერგოს თავთუხის პური, სასახელო კაცი გაზრდილიყოს!

ბელელში ყველა მზიარულობდა. ყველას სახე უცნოდა, მოხუცი მარცვლის გადარჩენას ზეიმობდა.

თ ა ვ ი მ ი თ ო კ ა მ ი ბ ა

**გამოფანაბე**

დადგა განშორების წუთები.

ხორბალა, ნამცეცა, მუთხუზა, ტიტინა და მათი ბიძა სხვა რჩეულ მარცვლებთან ერთად მიწის გამქვირვალე ჭურჭელში მოათავსეს და საწყობიდან ფრთხილად გამოიტანეს.

— მშვიდობით, შვილებო! — გადასაცხა ხორბალამ მეგობარ-ამხანაგებს. მის ძახილს ალიაჭოთი და ჟივილივილი მოჰყვა. ყველა თავისას გაიძახოდა, მიმავლებს ეთხოვებოდნენ.

— მშვიდობით იმეზავრე, ხორბალავ, მშვიდობით, არ დაგვივიწყო!

ხორბალაც ხმას აძლევდა ყველას ეთხოვებოდა.

— ნეტავ ახლა საით წავალთ? — ჰკითხა ხორბალამ ბიძია მარცვალს, როცა შუშის ჭურჭელს თავი დახურეს და საწყობიდან გარეთ გამოიტანეს.

— დიდი გზა გვაქვს, შვილო, გასავლელი, ბევრ რასმე ენახავთ.

მართლაც დიდი გზა გაიარეს მარცვლებმა.

კოლმეურნეობის კანტორის წინ მსუბუქი მანქანა იდგა, მანქანაში ხორბალას ნაცნობი ჭაბუკი იჯდა, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილიყო და შეგროვილ ხალხს ეთხოვებოდა.

— აბა, შენ იცი, ნიკა, გვასახელე! — შესძახოდნენ ჭაბუკს კოლმეურნეები.

ნიკამ მინის ჭურჭელი მაღლა ასწია და ხალხს გადასძახა:

— ამხანაგებო, გჯეროდეთ რომ ჩვენი ხორბალი გამოფენაზე გაიმარჯვებს!

მანქანა ახმაურდა და დაიძრა. გამჭვირვალე ჭილიდან ხორბალა გარკვევით ხედავდა, როგორ რჩებოდნენ უკან ნაცნობი მინდორ-ველები.

აგერ, ის ადგილიც დაინახა, შემოდგომაზე ტომრიდან რომ ჩამოვარდა და კინაღამ დაიღუპა. აგერ ის საყვარელი ნაკვეთიც, სადაც გაიზარდა.

დაღამდა. მანქანა სწრაფად მიჰქროდა. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მანქანა დიდი ქალაქის ქუჩებში გაჭანდა.

\*\*\*

უზარმაზარი დარბაზი, სადაც ხორბალა და მისი მეგობრები მოათავსეს, ყოველდღიურად აუარებელი ხალხით ივსებოდა. ადამიანები ათვალიერებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილ ხორბლის ნიმუშებს, რომლებიც პატარ-პატარა თაროებზე იყო მოთავსებული.

ყველას ყურადღებას ის თარო იქცევდა, საიდანაც ხორბალა და მისი ბუთბუზა ამხანაგები იმზირებოდნენ.

ერთხელ, დარბაზში, გალიმებული სახის, ქალარით მოსილი კაცი შემოვიდა,

რომელსაც ყველა პატივისცემით მწიფა მებოდა და გზას უთმობდა. ის ყველა თაროსთან ჩერდებოდა, ხორბლის ჯიშებს ათვალიერებდა და სახეზე ემაყოფილება ესახებოდა.

„ნეტავ ჩვენთან როდის მოვა“ — გაიფიქრა ხორბალამ და ამხანაგებს გადახედა. მის გვერდით-გაბუნძილი ბუთბუზა ნებივრად იწვა და ნამცეცას რაღაცას ეჭურჩულებოდა.

უცნობი კაცი მათ თაროს მოუახლოვდა. ხორბალამ იგრძნო მისი ალერსიანი მზერა და სიხარულით ალაპარაკდა:

— კეთილო კაცო, მე ხორბალა მქვია, ხორბალა!

კეთილმა კაცმა თითქოს ხორბალას ხმა გაიგონა, მინის ჭურჭელს დასწვდა, თავი მოხსნა და ხორბალი ხელის გულზე დაიყარა.

— აი, ხორბალიც ამას ჰქვია, ნამდვილი თავთუხია... ჩინებულია, ჩინებული! — წამოიძახა მან და მოგროვილ ხალხს გადახედა. მის წინ მდგარ ჭაბუკ ნიკას თვალები სიხარულით უბრწყინავდა.

— უოჰა, კარგად გიმუშავნიათ! — შეაქო კეთილმა კაცმა ჭაბუკი და ერთხელ კიდევ დახედა ხელისგულზე დაყრილ მარცვლებს.

— შეხედეთ, აი, ეს რა მსხვილი მარცვალია... უნდა ეცადოთ, ყველა მარცვალი ამას დაემსგავსოს! — თქვა მან და ხელის ორი თითით ხორბალა ხელში აიყვანა.

ხორბალას გული სიხარულით უთრთოდა. აღტაცებით შესცქეროდა კეთილ ადამიანს, რომელიც მას დაკვირვებით ათვალიერებდა და თავს ბედნიერების მწვერვალზე გრძნობდა.

არასოდეს პურის არცერთი მარცვალი ასე ბედნიერი არ ყოფილა!

დასასრული



ფ ა ც ი კ ო

პირველი სექტემბრის დილის შვიდი საათი ფაციკოს გაღვიძების ჩვეულებრივი დრო იყო.

მის გაღვიძებას მოუთმენლად მოელოდნენ: დედოფალა, ბურთი, დათვი, საბტუნაო ბაწარი და კიდევ ერთი ახალი რამ: ყავისფერი ფორმის კაბა და კოხტა წინსაფარი.

— გაიღვიძებს თუ არა პირველად მე ამიყვანსო, — თქვა ამაყად დედოფალად და შუშის თვალეები ფაციკოს მიაპყრო.

— რატომ თქვენ და არა მე! — ახტადხტა გვერდწითელა ბურთი.

— პირველობა გამარჯვებულს დარჩებაო, — წამოიძახა საბტუნაო ბაწარმა, სამივეს ირგვლივ შემოერტყა და ოცნებობდა: მთელ დღეს ერთად ვიქნებით, ბაღს და ეზოს შემოვირბენთ!

ფაციკომ გაიღვიძა, ფორმის კაბა დაინახა და ალტაცებით შესძახა:

შენ კი გენაცვალეო.

საბტუნაოს ეგონა ეს სიტყვები ფაციკომ ჩემზე თქვაო და ფაციკოსაქენ გაიწია.

საბტუნაოს სხვებიც მიჰყენენ: ბურთი ხტოდა, დედოფალა ხელს უქნევდა ფაციკოს, დათუნია კი ბუქნით გარს უვლიდა.

მაგრამ... ფაციკომ ხელპირი დაიბანა, ფორმის კაბა ჩაიცვა, დედაენა ჩანთაში ჩადო და ისე გავიდა, მათკენ არც კი მიუხეღია.

— სად წავიდა? ასე ადრე სად წავიდა? — ჩურჩულებდნენ სათამაშოები.

ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარმა ბელურამ გაოგნებულ სათამაშოებს ნიშანის მოგებით ჩამოსძახა:

— დღეს ფაციკო სხვა ქალია,

უკვე გახდა დიდი.

სათამაშოდ არ სცალია

ის სკოლაში მიდის! —

გაწბილებული ბურთი მეორე ოთახში შეგორდა, იქ ფაციკოს უმცროსი ძამიკო ეგულებოდა და იმას მიუგორდა.

გაბუტულ დათუნის ფანჯრისაკენ გაუშტერდა თვალი.

კოხტა დედოფალამ ყურჩამოყრილ დათუნის ჩასტურჩულა:

— რაღა გვეშველება თუ ფაციკო სა-მუდამოდ გაგვებუტაო.

საბტომელამ ხის სახელურები ერთმანეთს მიაკაუნა და მხიარულად წამოიძახა:

— ბეჯით მოწაფეს სათამაშო დრო ყოველთვის დარჩებაო.



# ბუნების კარი

## რა გვიამბო ბაბუამ

ჩვენი კოლმეურნეობის საფუტკრეში, ღამღამობით, სკა თაფლიან-ფუტკრიანად იკარგებოდა. ძველი მონადირეები მიხვდნენ, რომ თაფლის ქურდი დათვი იქნებოდა. ერთ მთვარიან ღამეს თოფებით ჩავეუსაფრდით. შუალამე იქნებოდა, ვეგებრთელა დათვი მობაჯბაჯდა, ჩაუარა საფუტკრეს, ორ ფეხზე შედგა, ერთი პატარა სკა იდლიაში ამოიღო, ცალი თათით ცხვირი დაიფარა,—ფუტკარმა არ მიკბინოსო და არხეინათ გაუდგა გზას. ჩვენც უკან დავედევნეთ. დათვი მდინარესთან მივიდა, სკა წყალში ჩააყურყუმელავა, ცოტახანს დაიცადა, შემდეგ ზევით ამოსწია სკა, უური დაადო: ფუტკრები ბზუიან თუ აღარაო, როცა დარწმუნდა, რომ ფუტკრები წყალში დამხრჩვალყვნენ, სკა კვლავ იდლიაში ამოიღო და გზას გაუდგა. ერთ პატარა მინდორზე რომ გავიდა, სკა მიწაზე დაახეთქა. სკა გატყდა, თაფლი დაიღვარა და დათუნიაშაც ხარბად დაუწყო სვლება. ჩემმა მეგობარმა ველარ




მოითმინა, თოფი დაუმინა და ესროლა. დათვმა დაიღრიალა და მძიმედ დაეცა ძირს.

ასე მოვსპეთ ჩვენი საფუტკრის დაუძინებელი მტერი, რომელმაც ექვსი სკა მოგვპარა, ფუტკრები წყალში დახოცა და თაფლი შეგვიქამა.

ბ. ქსნალაშვილი  
მეფუტკრე-აგრონომი

## განსაკრთობი

ასანთის ღეაბაით



გამოიცახით, რა საგნებია აქ გამოსახული ასანთის ღერებით და თქვენც შეადგინეთ ასეთები.

# მურია და ღრუტუნა

ნახატები ან. კანდელაკის



1. ერთხელ მურიამ თქვა: ჩემი მეგობარი უნდა გამოვცადო. ვაშლები მოაგროვა, სათამაშო მოედანზე ღრუტუნას დაუძახა და უთხრა: მოდი, ბურთაობა ვითამაშოთო. კარგო, - მიუგო ღრუტუნამ.



2. შენ კარში დადექი, მე დავარტყამ და ვნახოთ თუ დაიქერო, - თქვა მურიამ, მაგრამ ღრუტუნამ თავი არ შეიწუხა, არც ერთი ვაშლი არ დაიჭირა და მურიამ თავისი ვაშლები უკან წაიღო. მაშინ მურიამ უთხრა: რომელსაც დაიქერ, ის ვაშლი შენი იყოსო. დიდი სიამოვნებითო, - უპასუხა ღრუტუნამ.



3. ახლა კი დატრიალდა ღრუტუნა, გამოცდილ მეკარე-სავით იქერდა ვაშლებს და მადიანად ახრამუნებდა.



4. მურია ჩაფიქრდა და უთხრა: მოდი, კიდევ ვითამაშოთ: ჩემ ნასროლს თუ ვერ დაიქერ, და გაჯობებ, რამდენ გოლსაც გავიტან იმდენ ვაშლს მოგცემო.

კარგო, - ეშმაკურად მიუგო ღორმუცელა ღრუტუნამ, იგი განგებ აღარ იქერდა და მოგებულ ვაშლებს ხარბად ჭამდა.

მაშინ მურიამ უთხრა: არა, ძმობილო, მეგობრად ვერ გამომადგები, რადგან შენ სახელს - სახრავი გირჩევენიაო!

24/96

ГОСУДАРСТВЕННАЯ БИБЛИОТЕКА

# ბავშვები და შემოდგომა

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ხილით, ღვინით, ზეთით  
შემოდგომა მოვიდა.  
— შემოდგომავე, გვითხარა,  
მობრძანდები შორიდან?  
— არა, ჩემო კარგებო,  
შორი მგზავრი როდი ვარ,  
მე თქვენს ვენახებიდან,  
ბალებიდან მოვივარ.  
— გვითხარ, ასე ბარაქით  
ნეტა ვინ დაგამშვენა?  
— ვინა? თქვენი მშობლების  
დაუღლემა შარტუნამ.  
— გვითხარ, რა მოგიტანე;  
აგრემც შემოგვევლით?  
— პაპის ხელით მონვდილი  
ცამაქრული მტვევები,  
შოსავალი უღვეი,  
თვლით ჭერ არნახული,  
ნარინეები კოლხური,  
ჩურჩხლეები კახური.  
— ჩვენგან რაღას მოითხოვ.  
შემოდგომავე, ღამაში?  
— მინდა კარგად ისწავლით,  
ვინდა არ იზარმაცოთ.  
მერმისს, როცა ოქროსფრად  
კვლე მოვირთავთ ვენახებს,  
შემდეგ კლასში ხელთებზე,  
გადასული მენახეთ!

**იოსებ ნონაშვილი**  
ნახატი ალ. ვეფხვაძისა

ყლის პირველი გვერდის მხატვრობა გეტუნის ალ. გვოლაშვილს

ბასწინმისბიბლიოთეკის დირექტორი რ. მარაგანი  
საბავშვო ჟურნალი: ბრ. ბაბუიძე, ვ. ბუაჩუაძე, ი. ნონაშვილი, ვ. ცხადაძე.  
თ. თუთიაშვილი, მ. ავა. მარაგანიშვილი, ი. სიხარულაძე, ნ. შანაშვილი,  
გამომცემლობა „კომუნისტ“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. I სართ. ტელ. 3-81-85

გამომცემლობის მუკ. № 104 სტამბის მუკ. 207/1224 ტირაჟი 7000 ლ. 04404 ფანი 5 აბე.

ტექსტი აწვდილია ლ. ჯ. ზერას სახელობის პოლიგრაფიკულმა ცენტრმა „კომუნისტის“ სტამბაში. ევროპული  
დაბეჭდვითი რეპრეზენტაციის სისტემის მარკანტი. \*ხარია კოსტოკას\* სტამბაში. თბილისი. რუსთაველის სტრას. № 42